წელიწადი 1-ლი    გაზ. ფასი 3 შაური.    ტელეფონი № 76.    ხუთშაბათი ოქტომბრის 5—(18) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ტრიქ . . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . 5 შაური.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადიში დირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ.
ც მ. 1 საათის შემდეგ 7 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 141    ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი    № 141

ეროვნული ბიბლიოთეკა


## საჭიროა გაზეთის დამტარებლები

პირობების გაგება შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორაში. მისამართი: თბილისის ქ. ს. მიქელაძის სახლი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

## ქართველთა სამხედრო კავშირი

(ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წევრად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წევრად ჩაწერა. კავშირი უპარტიოა. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წევრად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დილის 8—2 და საღამოს 5—9 საათამდის.

**მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:**

## საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმეებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 და საღამოს 7—9—დე პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციასთან.

## განცხადება.

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, **საქმის წარმოება ქალაქის გამგეობასა და საბჭოში ქართულად უნდა სწარმოებდეს.** ამიტომ ყოველივე წერილობითი განცხადება, თხოვნა და სხ., რომელიც კერძო პირთ შემოაქვთ ქალაქის გამგეობაში, ქართულად უნდა იწერებოდეს; გამონაკლისი ხდება მხოლოდ რუსთათვის, რომელთაც ქართულად წერა არ იციან. ამგვარადვე ყველა დაწესებულებას ქალაქის გამგეობასთან მიწერმოწერა ქართულად უნდა ექნეს, გარდა იმ დაწესებულებათა სადაც საქმის წარმოება რუსულ ენაზეა.

**საღამოს საერთო განათლების და მოსამზადებელი უფლებიანი კურსების**
მასწავლებელთა კოლეგია ამით აცხადებს, რომ ქალაქ ქუთაისში მან გახსნა

## 8-კლასიანი გიმნაზია

**უფლებით აღჭურვილი.**

ამ წლიდან გაიხსნება პირველი ხუთი კლასი სამი მოსამზადებელი განყოფილებით. საანბანო განყოფილებაში მიიღებიან გამოუცდელად, დანარჩენ კლასებში კი შესაფერ გამოცდების შემდეგ. უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებიდგან შეუძლიათ გადმოსვლა შესაფერ კლასში უევზამენოთ. იმავე სასწავლებლის კურს დამთავრებულნი მიიღებიან მეხუთე კლასში გამოუცდელად. მათ და ამ გიმნაზიის სუსტ მოწაფეებს საღამოობით უფასოთ გაუსწორებენ გაკვეთილებს.

მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 10—2 საათამდე.

**მისამართი:** ფოსტის შესახვევი (ფოსტის პირდაპირ), სახლი № 3.

## ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულია სპნის **სოდა** და საპნისთვის ქონის მაგიერი საშუალება „**ქირონინი**“, აგრეთვე ყოველივე მისთვის მასალები. ფასები ზომიერია.


ღრმად დამწუხრებულნი ქვრივი ნინო მიქელაძისა დგებუაძის ასული, დიმიტრი, მიხეილი და კანლია გიორგის ძენი ჩიჩუები, ნიკოლოზ ევგენის ძე დგებუაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ შაბათს 7 ოქტომბერს, 10 საათზე, დ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე დღიდან გარდაცვალებისა ორმოცის შესრულების გამო გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლის, მეორეთა ბიძის, მესამის სიძის

მელქისედეკ დიმიტრის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ.


**ექიმი** ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე. იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს

ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, გატუშინსკის სახლი

**ექიმი**

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 8—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფთ დღის 12—2 და საღამოს 5—7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელეფ. 87.


## ფიქრები... მწარე ფიქრები.

I.

დიდი ხნის მუქარა შესრულდა და ორი ოქტომბრის ნაშუადღევიდან სამი ოქტომბრის გათენებამდე ქუთაისი ჯოჯოხეთად გადაიქცა!

ჯარის ერთი ნაწილი შეუდგა დუქანმაღაზიების რბევა-აკლებას. დაიმსხვრა რამდენიმე სავაჭრო სახლი, დაიწვა რამდენიმე დუქანი, დაზარალდა და დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

საბრალო სანახავი იყო ამ დროს ქუთაისი!

გამოცდილ კაციდან დაწყებული უკანასკნელ ბავშვამდე ყველა ცახცახებდა, ყველა გაფითრებული იყო, ყველას თვალებში შიში და ძრწოლა გამოუკრთოდა. —დღეს რომ ასეა, რა მოგველის ხვალ, ზეგ? სად გაჰქრენ დიდი ლოზუნგები დიდი რევოლუციისა, სად არის ძმობა-ერთობა-სამართლიანობა? რა იქნა ბაქიაობა ცნობილი პარტიებისა? ვინ დაგვიხსნის, ვინ გვიშველის?—უსიტყვოდ, თვალებით ეკითხებოდენ ერთმანეთს გამვლელ-გამომვლელნი და იუმედოდ ყველა თავის სახლისკენ მიეშურებოდა, რომ მაგრა ჩაეკეტათ კარები და ღვთის რისხვას როგორმე გადარჩენოდა...

მთელი ქალაქი ბობოქრობდა, გმინავდა, კვნესოდა. თოფებს თქაფა-თქუფი გაჰქონდა, მოისმოდა გამოურკვეველი კიჟინა დამრბეველთა, გამოუთქმელი გმინვა დარბეულთა...

ხარობდენ მხოლოდ ისინი, ვინც ჩვეულებრივ დროს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან ხოლმე, როგორც ქურდ-ბაცაცნი, მაგრამ ხალხთა დიდი აღრეულობის დროს კი თამამად თარეშობენ ხოლმე. რომ თავისი ვანდალური, მხეკური გულის-თქმა დაიკმაყოფილონ!..

იმ დღე-ღამეშიც—რა დროსაც ქუთაისში რბევა იყო—ამ ნაძირალებს გაჩაღებული ვაჭრობა ჰქონდათ გამართული ეგრედ-წოდებულ „კათოლიკეთი“ მოედანზე (იმ ადგილას, სადაც ეპ. გაბრიელის სახელობის სამკითხველოს აგება განზრახული) და დამრბეველთაგან გროშის ფასად ყიდულობდენ დანარბევს.

ასეთი იყო საერთო სურათი ქუთაისისა 2—3 ოქტომბერს. ასეთს ამბებსა და უფრო უარესსაც ჩვენ დიდიხანია მოველოდით და მოველით კიდეც, ვინაიდან რევოლუცია არც ლხინია და არც ქორწილი! რევოლუცია—რომელ ქვეყანაშიც უნდა იყოს იგი, მსხვრევა-ნგრევაა არსებული უმსგავსოებისა. რევოლუცია შურისძიებაა იმ ბოროტებისადმი, რომელიც ხალხს საუკუნოებით ხუთავდა სულს და აღვიძებდა მასში ცხოველურ ინსტიქტებს.

გადაიკითხეთ თქვენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორია, გაიხსენეთ მაშინდელი ამბები, გაიხსენეთ თუნდა მარატი და რობესპიერი, ან იმ დროინდელი „თეთრი“, თუ „წითელი ტერრორი“ და თქვენ დამეთანხმებით, რომ ქუთაისში მომხდარი ამბავი მხოლოდ დასაწყისია ისეთის დასასრულისა, რომელსაც ჯერ არც სიგრძე უჩანს და არც სიგანე!..

მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ჩვენ არ უნდა დაგვევიწყებინა ის დრო, პირობანი, ხალხი და სივრცე, რომელ დროსა, პირობებსა, ხალხსა და სივრცეზეც მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუცია ამ 120—125 წლის წინად; როცა ჩვენ ჩვენს ხალხს სარევოლუციოთ ვამზადებდით, ჩვენ არ უნდა დაგვევიწყებინა ის დიდი გაკვეთილები—სისხლით შეღებილი გაკვეთილები,—რომელიც მოგვცა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ.

ადვილი შესაძლებელია, რომ ეს „დავიწყება თუ არ დავიწყება“ ჩვენ ხელთაც არ იყოს, ჩვენ ნებაზე არ მოქმედებდეს, ვინაიდან რევოლუცია, საზოგადოდ, ისეთი ქარიშხალია, რომ ბევრ ჭკვიანსა, დაფიქრებულსა და ხალხის ნამდვილ მოკეთე-ხელმძღვანელსაც ხშირად ჭკუას დააკარგვინებს ხოლმე, მაგრამ რევოლუციის დაწყებამდე, მისი სამზადისის დროს კი,—ყველა ჩვენთაგანი, ის, ვინც ხალხის კეთილდღეობაზე ცოტათი მაინც ფიქრობდა, მოვალე იყო ანგარიში გაეწია სარევოლუციოდ მოსამზადებელ ხალხის ისტორიისა, გუნებისა, განვითარებისა, ეკონომიურ პირობებისა და პოლიტიკურ შემეცნებისათვის.

რუსეთი დიდი და უზარმაზარი ქვეყანა იყო, შეკრული და შებოჭილი მხოლოდ თავისის პოლიციითა, ჩინოვნიკებითა და ჟანდარმერიით. იგი არ იყო მთლიანი სახელმწიფო დასახლებული **ერთის ტომის ხალხით** და ერთ მთლიან ხალხოსნურ მიწა-წყალზე. რუსეთი არ იყო ერთგვარი კულტურის სახელმწიფოც კი, ვინაიდგან, იბა, რა აქვთ, მაგალითად, საერთო თუნდა კულტურას სამოედისას და გურულისას, ზირიანისასა და იმერლისას, ბურიატისას და კახელისას, ჩუვაშისას და ქართლელისას, რუსეთის დედაერის-ველიკოროსების—კულტურაც რომ სულ არ ვახსენოთ?!.

მაშასადამე, რუსეთის დიდი რევოლუციაც არ არის რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში მომწყვდეულ და დღეს რევოლუციაში ჩაბმულ **ყველა** ერისათვის ერთისა და იმავეს მთქმელი, ერთისა და იმავეს მიმცემი. ეს დიდი რევოლუცია არ არის რუსის ერის **ეროვნული** რევოლუცია, ეს რევოლუცია არის მხოლოდ გულის წყრომა, ამონაკვნესი დაჩაგრული **ერებისა**, ეს რევოლუცია არის გამოწვეული არა მთელის რუსეთის ერთგვარი ეკონომიური პირობებით, არამედ გამოწვეულია მხოლოდ ძველი რუსეთის ერთგვარი **პოლიტიკური** სიდუხჭირით, რუსეთის ჩინოვნიკების უადამიანობით, რუსეთის პოლიცია-ჟანდარმების ვერაგობით, რუსეთის სკოლისა და ეკლესიის გამარუსებელი და დამჩაგვრელი მისწრაფება-მიდრეკილებით.

რუსეთის რევოლუცია არ არის აღმოცენებული არც მარქსისტულ ნიადაგზე, არც რუსეთის ხალხის ფედერატიულ მიჯნურობაზე, რუსეთის რევოლუცია არის —უხილავი სურვილი თითოეული ერის, თითოეული ხალხის თავისუფლად ამოსუნთქვისა, თავის ცხოვრების თავისებურად მოწყობისა. ეს რევოლუცია არის სურვილი ამირანისა მიჯაჭვულ კლდიდან, მოჯადოებულ კლდიდან, ახსნისა, ხოლო როგორ მოაწყობენ თავის ცხოვრებას რუსეთის სახელმწიფოდან თავდახსნილი ამირანები, ეს მომავლის საქმეა და ვერც ერთი ჩვენთაგანი გადაჭრით ვერ იტყვის, როგორი იქნება მომავალი ცხოვრება რუსეთის სახელმწიფოისა...

რუსეთის რევოლუციამ უნდა გადასწყვიტოს არა **სოციალური** საკითხი, არამედ საკითხი **რუსეთის ერების ყოფნა-არ ყოფნისა**...

აი, ამ თვალსაზრისით რომ შეგვეხედნა რუსეთის მომავალი რევოლუციისათვის ამ ათი ხუთმეტი წლის წინად, ამ საზომით რომ გაგვეზომა ჩვენი—ქართველების—ისტორიულ—პოლიტიკურ—ეკონომიური მდგომარეობა, ამ სასწორზე რომ აგვეწონა ჩვენი—საქართველოს—ვინაობა—რაობა და შეერთებულის ძალით გვემოქმედნა, შეთანხმებულის ერთგულებით გვემუშავნა, დღეს ბევრ უსიამოვნებას, ბევრ ზედმეტ ძალთა ხარჯვას ავცდებოდით და იქნება ნაკლების ტკივილებით გაგვჩენოდა ის ოქროს კოჩრიანი ვაჟი, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან.

დღეს კი?...

დღეს ჩვენში ერთმანეთს ალარა ვცნობთ. ევროპიულის თეორიებით გატაცებულნი, ცენტრალიზმის სიდიადით დაბრმავებულნი, სოციალიზმის სიმშვენიერით მოხიბლულნი, პირადისა თუ პარტიულის ჟინიანობით გზა-აბნეულნი, თითქმის თვალდახუჭულნი მივსდევთ ქარსა და ქარაშოტს და თავიჭამიებივით ლამის ერთმანეთი გავანადგუროთ, ძმამ ძმას სამარე გავუთხაროთ...

დღევანდლამდე მაინც ასე იყო! რა იქნება დღეის შემდეგ, მე არ ვიცი. იქნება ალლომ თავის დაცვისამ ახლა მაინც გვასწავლოს ჭკუა და გამოგვიყვანოს თავდავიწყებიდან...

აქამდე კი ჩვენმა ქადაგებამ „ბურჟუებზე“, „პროლეტარებზე“, „ფედერალიზმზე“, „თავად-აზნაურობაზე“, „მღვდლებზე და დიაკვნებზე“, ჩვენმა კაციჭამიაობამა და ერთმანეთის გაბიაბრუებამ შეგვძლვნა ის რომ:

— პარიკმახერი ჰყიდის არაყს.
— სოციალისტი — წუმწუმა-პაპიროზს.
— მეფართლე—ღვინოს.
— ხარაზი—ფართალს.
— ნასწავლი—დიპლომს.
— ჭკვიანი—ჭკუას.
— გულადი—მარჯვენას.

ყველა ერთად კი სცდილობს, რაც შეიძლება მეტი **წაგლიჯოს და აფცქვნას** თავის თანამოძმეს, გლეხი იქნება იგი თუ პროლეტარი, ავი თუ კარგი!

„კლასთა ბრძოლის“ უნიადაგო ქადაგებამ ჩვენში მეზობელი მეზობელს გადაამტერა. ულირსს ღირსეულად წარმოადგენინა თავი და ღირსეული-კი დაამცირა.

საერთო მუშაობისა და მოქმედების ნაცვლად ჩვენში მეფდება „სარევოლუციო ნევროზი—დაავადება“ და რალა საკვირველია რომ ყველგან და ყველაფერში გაჩნდეს ვანდალიზმი და ერთმანეთის განადგურების სურვილი!

სადღაა აქ სამართლიანობა და დიდი ლოზუნგები დიდის რევოლუციისა? როგორ ლა უნდა გამოვაბრუნოთ ჩვენი ყოფნა და მდგომარეობა? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ შემდეგში მაინც ალარ გამეორდეს ჩვენში გუშინდელი ამბები, რა გვიშველის და რა გვიხსნის? აი კითხვები, რომელთა შესახებაც შემდეგ მოველაპარაკები ჩემს მკითხველებს.

**ია ეკალაძე.**

## ზავის გარშემო.

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით ლონდონში შეკრებილ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიზანია ზავის შესახებ ფაქტიური და რეალი მოლაპარაკება. ამჟამათ, როგორც უცხოეთში, ისე რუსეთშიც მოუხშირეს ომის შეწყვეტაზე წერას. ინგლისური გაზ. „დაილი ნევს-“ი ამბობს: „რუსეთის დემოკრატიამ და ნეიტრალ სახელმწიფოების სოციალისტებმა უანექსიო და უკონტრიბუციო მტკიცე საპატიო ზავი მოითხოვეს, მაგრამ ეს ლოზუნგი ცხოვრების აწინდელმა პირობებმა არ შეიგუა და დაამარცხა: ომის გათავება კი ყოველ მეომარ მხარეს უაღრესად დასჭირდა. იწყება საზავო კომპანია და ჩვენ გვგონია, რომ აქ ყველაფერი ძველის დიპლომატიურის გზით წავა.“

რუს. გაზ. „ნოვაია ჟიზნი“ სწერდა: „ოთხთა შეთანხმების იმპერიალისტებს სწადთ, რომ ომის მთელი სიმძიმე რუსეთს დააკისრონ. ამისთვის გერმანეთი მათ დასავლეთით უთმობს, რაც შეხება აღმოსავლეთი (რუსეთი) მოკავშირენი გერმანეთს უთმობენ. ამრიგათ ომის მთელ უბედურებას მოკავშირენი რუსეთს ატეხენ თავზე.“

როგორიც არ უნდა იყოს პრესის აზრი ის ცხადია, რომ დღეს ომის დამთავრება მიუცილებელ მოთხოვნილებათ წარმოდგა. გადაავლეთ თვალი რუსეთის ცხოვრების დღიურს და გაიგეთ, რა ხდება. შიდა გუბერნიები ანარქიის ალში გაეხვია, ხალხი გამხეცდა, სწვავს სოფლებს და ცეცხლში ადამიანებს ისვრიას. ლაშქრის უწესოებამ ყველაფერს გადააჭარბა.

რუსეთს სრულიად მოესპო ომის საწარმოებელი რესურსი. სახელმწიფო ქალალდის ფულის მორევში სცურავს და 42 მილიარდი ვალი აქვს. ამის გათვალისწინების შემდეგ ომის წარმოებას ყოველგვარი აზრი ეკარგება რუსეთის დემოკრატიამ ეს უწყის. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთის ლაშქარი აწ ფეხს ვერ გაიმაგრებს და ბრძოლის ველზე გამარჯვებას ვერ ირგუნებს. მაგრამ როგორ მოიქცეს? საბედისწერო პერსპექტივაა წარმომდგარი. სეპარატიული ზავი შათანხმების სახელმწიფოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლას გამოიწვევს, რომელიც იაპონიის მიერ უმდიდრეს უსურიის მხარეს წართმევას მოასწავებს. ვერც მოკავშირეთ ენდობა რუსეთი, რადგან გამოირკვა, რომ ისინი რუსეთის ხარჯზე აპირებენ მსოფლიო ტრაღედიის ლიკვიდაციას. ერთობ ძნელი კითხვა აქვს რუსეთის დემოკრატიას გადასაჭრელი. ომის კითხვა რევოლუციის მოხდენის შემდეგ საბედისწერო შეიქმნა. დრო კი არ იცდის და რაც ომი გრძელდება, მით უფრო იწეწება სახელმწიფო საქმეები და კრიზისი მეფდება რუსეთის ცხოვრებაში. მოსალოდნელია ომი შეჩერდეს ისე, რომ რუსეთს არაფერი არ ჰკითხონ და გამზადებულ ქაღალდზე პირდაპირ მოაწერიონ ხელი. ასეთი მოსაზრება იმიტომ მოგვყავს, რომ საზავო ნოტაში რუსეთს არსად იხსენიებენ და უსუსტეს მეომარ სახელმწიფოთ ამ ხანათ რუსეთი ყავთ აღსარებული,

**რეს.**

## რევოლუციის ამბები.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ახალი სესხი.**

**პეტროგრადი.** ენკენ. 28. ფინანსთა მინისტრს ნება დართეს 4 მილიარდამდე ხალი ქაღალდის ფულის დაბეჭვდისა.

**ბოლშევიკების გამარჯვება მოსკოვში**

**მოსკოვი.** ენკენ. 29. მოსკოვის 17 სარაიონო საბჭოში აირჩიეს სულ 710 ხმოსანი: ბოლშევიკი—350; კადეტი—184; ესერი—104; მენშევიკი—31,

**ნათესების განადგურება.**

**პეტროგრადი.** ენკენ. 29. გუშინდელ დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა მინისტრს სხვა და სხვა ადგილებიდან ცნობები მოუვიდა უწესოების შესახებ. იტყობინებიან, რომ ანადგურებენ ნათესებს და სჩეხენ ტყეებს.

**ყაზახობის და ეროვნებათა წარმომადგენლები**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 28. ჩხეიძის თავმჯდომარეობით დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტის პრეზიდიუმისა და დემოკრატიულ ორგანიზაციების საბჭოს სხდომა მოხდა წერეთელმა განაცხადა, რომ იურიდიულ კომისიაში აღძრულია საკითხი, რომ რუსეთის რესპუბლიკის საბჭოში 20 დამატებითი ადგილი ყაზახობას მიეცეს და 15 ეროვნებათა წარმომადგენელს. დადგენილია აგრეთვე რომ 45 დამატებითი ადგილი დემოკრატიასაც მიეცეს.

**უნივერსიტეტის წარმომადგენლები**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 29. პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტების წარმომადგენელთა კრებამ რესპუბლიკის საბჭოსათვის აირჩია პროფესორი გრიმი გზათა ინსტიტუტის დირექტორი ბრანდტი და პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის პროფესორი ლევინსონ-ლესინგი.

**საბჭოს დებულება.**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 28, პროფესორ ლაზარევსკის თავმჯდომარეობით შესდგა იურიდიული თათბირი წინასწარ პარლამენტის დებულების განსახილველათ, დემოკრატიის წარმომადგენლად წერეთელი იყო განიხილეს წინასწარ პარლამენტის უფლებების, მოვალეობისა და მისი მთავრობისადმი დამოკიდებულების საკითხები.

**უპურობა ფრონტზე.**

**მინსკი.** ოკტომბრისთვის 1. ფრონტისა და საარმიო კორპუსის სასურსათო კომისიის მიერ გამოცემულ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ფრონტზე ხორბალი სრულიად არ მიდის, ფქვილი კი ცოტა ყოფილა.

**კერენსკის ავადმყოფობა.**

**მოგილევი.** ენკენის. 30. კერენსკის გრიპპი გამოაჩნდა. მდგომარეობა უმჯობესდება. ტემპერატურა ჩვეულებრივია.

**რუსეთის ჯარის რეორგანიზაცია**

**ბაქო.** ენკენ. 29. თათბირზე გადასწყდა შემუშავდეს ჯარის რეორგანიზაციის გეგმა. დააწესებენ ჯარის სისტემატიურად წრთვნას და შემოიღებენ ახალ ტეხნიკურ საშვალებებს, რომელიც ამ ომმა წარმოშვა. განზრახული აქვთ სასტიკი წესი შეიტანონ ჯარის ცხოვრებაში. ჯარისკაცებს განესაზღვრებათ დრო ძილისთვის, დასასვენებლად და მუშაობისთვის.

**მემამულეთა საფრთხე.**

**კიევი.** ღვინობისთვის 1. უმანის მემამულეთა კავშირი დეპეშით შველას სთხოვს უმაღლეს მთავარსარდალს. ანარქიის გაძლიერება ყველას შიშსა ჰგვრის. შეიარაღებული ბოროტმოქმედნი მოსვენებას არვის აძლევენ. უცვივიან სახლებში და მგზავრებსა სცარცვავენო.

**დუქნების დარბევა.**

**სიმფეროპოლი.** ენკენ. 30. მელიტოპოლის და დნეპრის მაზრების ბევრ სოფელში ბრბომ დუქნების რბევა და ჩხრეკა დაიწყო. გამოწვეულია ჯარი.

**ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები.**

**ტიუმენი.** ენკენ. 30. ყოველ დღე მცხოვრებთა ძარცვა და მკვლელობა სწარმოებს. ხალხი შეშინებულია.

**მომქმედი ლაშქარი.** ენკენ. 30. ბენდერში და ტირასპოლში უწესოების ჩასაქრობად გენ. შჩერბაჩევმა ყაზახთა დივიზია და ცხენოსნები გაგზავნა. ოდესელი არტილერისტები და მეზღვაურნი უკანვე დააბრუნეს.

**ბოლშევიკები.**

**დონის-როსტოვი. ღვინობ. 1. წმ.** სოფიოს მოედანზე მუშებმა ბოლშევიკურ ლოზუნგებით დემონსტრაცია გამართეს. წესიერება არ დარღვეულა.

**კოპერატივების მონაწილეობა**

**ვიატკა.** ოქტომბრის 1. გუბერნიის კოპერატივთა საინსტრუქტორო ბიურო მოსკოვში კოოპერაციის ყრილობაზე წარმომადგენელს ჰგზავნის. ავალებენ: მხარი არ დაუჭირონ დამფუძნებელ კრებაზე კოოპერატივების ცალკე გამოსვლას.

**საერთო პარტიათა კანდიდატების სიები**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 1. სოც. რევოლუციონერთა პარტიის ცენტრალმა კომიტეტმა დაადგინა: „ის პირი, ვინც მოიწადინებს დამფუძნებელ კრების კანდიდატობას ან და კანდიდატთა სიების შესახებ განცხადებას შეიტანს საერთო პარტიათა კანდიდატების სიების გარეშე პარტიიდან გამოირიცხება“.

**საარჩევნო სიების შედგენა**

**პეტროგრადი.** ოქტომბრის 1. დროებით მთავრობის დადგენილებით, იქ სადაც ჯერ ადგილობრივი სასოფლო-საქალაქო და სოფლის საზოგადოების თვითმართველობა არ დაარსებულა დამფუძნებელ კრების საარჩევნო სიების შედგენა ევალება ქალაქის გამგეობას, სოფლისა და სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისიებს.

**საარჩევნო დებულების გამოცემა**

**პეტროგრადი.** ოქტომ. 1. დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი სრულიად რუსეთის კომისია ამ მოკლე ხანში გამოსცემს საარჩევნო დებულებას. დებულებას დაემატება ნაკაზი და ყველა ის ახალი კანონები, რომლებიც არჩევნებს შეეხება.

## ზავის გარშემო

**საფრანგეთი და ელზას-ლორენი**

**პარიზი.** ენკენ. 29 დეპუტატთა პალატა. **ლეიგმა** აღნიშნა უფრო ენერგიულ დიპლომატიის საჭიროება, მიუთითა გერმანეთის ინტრიგებზე და ითხოვა საქმის ვითარების ახსნა. ორატორის აზრით ელზას ლორენის პრობლემაში კომპრომისებს არ უნდა ჰქონდეს ალაგი. საფრანგეთს თავის საკუთრება უკან უნდა დაუბრუნდეს. დეპუტატი **შუმი** კრიტიკით ეხება საფრანგეთის დიპლომატიის შემადგენლობას. **სოციალისტი** შუტე ჰკიცხავს ფარულ დიპლომატიას და მოითხოვს, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა დემოკრატიის სულს ატარებდეს. **ბრიანმა** ქებით მოიხსენია საფრანგეთის ელჩები კამბონი, ბარრერი და ბიუსერანი. მან განაცხადა, რომ ეხლა მოკავშირენი ვერ შეჩერდებიან, ვინაიდან გამარჯვება მათ მხარეზე იხრება. გარეშე საქმეთა მინისტრმა **რიბომ** სთქვა: გერმანეთმა განაცხადა, ელზას-ლორენს არ დავთმობო. ეხლა ყველასათვის ნათელია, რომ ელზას ლორენს მაშინ ჩავაბარებთ ხელში, როცა გავიმარჯვებთ. (ტაში) თუ ელზას-ლორენის შესახებ უსამართლოება არ გამოსწორდა ჩვენს შვილებს კვლავ მოუხდებათ შემაძრწუნებელ ომის განმეორებაო.

**ასკვიტის სიტყვა**

**ლონდონი.** ენკენ. 28. ასკვიტმა ლივერპულში სიტყვა წარმოსთქვა. მართალია გერმანეთში და ავსტრიაში აქვთ სურვილი ზავისა, მაგრამ ეს იმდენად სუსტია, რომ ანგარიში უნდა გაუწიოს მხოლოდ გერმანეთის მთავრობას, რომელსაც მიაჩნია, რომ ქვეყანა ფიზიკურად უძლიერეს სახელმწიფოს ეკუთვნოდესო. სთქვა მინისტრმა, მატერიალური და ზნეობრივი უპირატესობა ჩვენს მხარეზეა და თანდათან იზრდება კიდევაცო.

**საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა.**

**პარიზი.** ოქტ. 29. დეპუტატთა პალატამ საფრანგეთის დიპლომატიის მოქმედების შესახებ ლეიკის შეკითხვის გამო გამართულ კამათის შემდეგ ასეთი რეზოლუცია მიიღო. ომი ახალ ფაზაში შევიდა. პალატა მას აძლევს მძლავრ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელსაც ფუძედ დაედება მოკავშირეებთან შეთანხმებით შემუშავებული საერთო გეგმა. პალატა მოითხოვს სამინისტროს ორგანიზაციისა და მეთოდების განახლებას.

**კამათი გერმანეთის რეიხსტაგში.**

**სტოკჰოლმი.** ოკტომბრის 29. საგარეო პოლიტიკაზე კამათის დროს სოც.-დემოკრატმა გრადენაუერმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატები ნდობით უყურებენ კიულმანის მოღვაწეობასო; პროგრესისტმა გაუსმანმა სურვილი გამოსთქვა, რომ კიულმანს განეცხადებინოს არა მარტო გერმანეთის მზად ყოფნას ბელგეთის განთავისუფლების შესახებ, არამედ კატეგორიული განცხადება მის თავისუფლების შესახებ.

ნაციონალ-ლიბერალმა შტრეზემანმა გაიზიარა ცენტრის ორატორის ფერენბახის აზრი, რომ ეხლა ახალ სამშვიდობო რეზოლუციაზე კრინტიც არ უნდა იყოს დაძრული. ნაციონალ-ლიბერალები სინანულს გამოსთქვამენ, რომ საზავო ნოტა გაცემულ გერმანეთის პასუხში რეიხსტაგის სამშვიდობო რეზოლუციაზე მიუთითებენ. კონსერვატორმა ვესტერმა განაცხადა, რომ გერმანეთის ერი ზიზღით უარჰყოფს ვილსონის ნოტას. კონსერვატორების აზრით, საეჭვოა, რო სამშვიდობო მოლაპარაკებამ შეიარაღება შეასუსტოს. პაპის ნოტაში, ბელგეთის თავისუფლებაზე მსჯელობა უტოპიურია. დასასრულ ორატორი დაჟინებითი მოითხოვდა, რომ მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე გერმანეთს თავის წარმომადგენლები სრულ თავისუფლებით აღჭურვა. ორატორს იმედი აქვს, რომ კიულმანი გაიზიარებს ჩერნინის აზრს, რომელმაც სთქვა „ჩემი პროგრამა შეიცვლება, თუ მტრები ომს განაგრძობენ“-ო.

**ამერიკის აზრი.**

**ნიუ.-იორკი.** ენკენისთვის 27. „ასოსი ეტედ პრეს“ იტყობინება: ვაშინგტონის მთავრობა დარწმუნებულია, რომ გერმანეთი გრძნობს დამარცხების აუცილებლობას და ზამთარში ინტრიგებს მიმართავს ზავის ჩამოსაგდებათ' რაც უკვე დაიწყო კანცლერის სიტყვით; შესაძლებელია გერმანეთი ელზასის დაცლასაც არ დაერიდოს; მაგრამ თავის გამარჯვებაში დარწმუნებული მოკავშირენი ყურს არ ათხოვებენ სიტყვებს. რომელსაც გერმანელები საქმით არ ამართლებენო.

## ეროვნული კითხვა.

პ. დ. ს.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

**ფინეთი**

**კოალიციური სენატი.**

**ჰელსინგფორსი.** ენკენისთვის 28. სეიმის არჩევნები დასრულდა და ეხლა სენატის გარდაქმნალაა საჭირო, რადგან დროებითმა სენატმა თავის მოვალეობა აასრულა. იუწყებიან, რომ უკვე დაიწყო პარტიების მოლაპარაკება კოალიციურ სენატის შედგენის თაობაზე სენატს შეადგენენ ახალ სეიმის პარტიულ ჯგუფებთან შეფარდებით.

**სენატის იურიდიული კომისია**

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 29. ფინლიანდიის სენატის იურიდიულ კომისიაში სათათბიროდ იგზავნებიან: დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიულ კომისიის წევრი სენატორი გრიმი, სენტონი. ბარონი ანოლდი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი აჯემოვი, ბარონი ბ. ნოლდე, დროებით მთავრობის საქმეთა გამგე გალპერნი და იურიდიულ თათბირის საქმის წარმოების გამგე მარალი.

**ლატიშების უნივერსიტეტი**

**კოლმასი.** ენკენ. 30. გაიხსნა ლატიშთა პირველი სახალხო უნივერსიტეტი.

**უკრაინის ახალი დეკლარაცია.**

**კიევი.** ენკენ. 36. მცირე რადის სხდომაზე ვინნიჩენკომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც შეიცავს საოლქო მთავრობის მუშაობის გეგმას უკრაინის მიწა წყლის და ხალხის გაერთიანებით უნდა შეიქმნეს ავტონომიური ერთეული. გათვალისწინებულია უკრაინის დამფუძნებელ კრების მოწვევა, მიწადმფლობელობის რეფორმის შემუშავება, უკრაინის ბიუჯეტის შექმნისათანავე უკრაინელ ეროვნულ და ქალაქ გარეშე ბანკების დაარსება, უკრაინული შინაარსით ახალი შკოლების დაარსება, სეკრეტარიატმა უნდა დაარსოს გამგეობანი.—გზათა მიმოსვლისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სამხედრო საქმეებისა, უკანასკნელის პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება სამხედრო ნაწილების შექმნა. სეკრეტარიატი ეცდება, რომ საზავო კონფერენციაზე უკრაინის წარმომადგენლებიც იყვნენ, ერთნაირ სამართლიანობით მოეპყრობა უკრაინის ყველა ეროვნებათა უფლებებს და შეუდგება უკრაინის საყოველთაო დამფუძნებელ კრების მოწვევისათვის მზადებას. ანარქიულ ელემენტებთან საბრძოლველად შეიქმნება უკრაინის ყაზახთა ჯარი. შემუშავდება სრულიად რუსეთის და უკრაინის დამფუძნებელ კრებებზე შესატანი მიწადმფლობელობის რეფორმის პროექტი. დაარსდება საეკონომიო კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სურსათის დამზადების და განაწილების საქმე და აგრეთვე მთელი მრეწველობა და ვაჭრობა. ფინანსების შესახებ სეკრეტარიატი დეცენტრალიზაციის მომხრეა. უკრაინის სახელმწიფო შემოსავალი შეძლებულ წრეებზე დიდი გადასახადების დაწესებით უნდა გაიზარდოს. საკრედიტო დაწესებულებებს მეთაურობა უნდა გაუწიოს უკრაინის ეროვნულმა ბანკმა, რომელიც განკარგულებაშიაც გადავა ეხლანდელ სახელმწიფო ბანკის კიევის კონტორისა და უკრაინაში მოქმედ ყველა მის განყოფილებათა საქმეებში. შემდეგ გათვალისწინებულია უკრაინულ სახალხო ბანკის დაარსება. განზრახულია განხორციელდეს სასოფლო სამეურნეო ფარგლის მუშების უზრუნველ-საყოფლად საგანგებო კანონი, დაარსდეს შრომის ბირჟები, ეროვნულ-დემოკრატიულ საფუძვლებზე ახალი შკოლის შექმნა და კიევის საპედაგოგიო აკადემიის გახსნა.

**ყირიმის თათრები.**

**სიმფეროპოლი.** ენკენ. 28. ყირიმის მაჰმადიანთა ცენტრალ კომიტეტის კომისიამ საკუთარის ნებით დაიპყრო ბახჩისარაის სასახლე, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში იყო.

## უკანასკნელი დეპეშები.

ტამბოვში ებრაელთა დარბევა მოხდა. საბჭოს წევრებმა ამის შესახებ განაცხადეს მეამბოხენი კი არ უნდა დავაწყნაროთ, არამედ ხმლით უნდა გაუმასპინძლდეთო.

—

მთელს რანენბურგის მაზრაში (რიაზანის გუბერნია) უწესოებაა. იწვის არა მარტო საბატონო ადგილები, არამედ გლეხების სოფლები. ხარკოვში ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე მაღაზია გაანადგურეს.

—

ნება დართულია კავკასიაში შეადგინონ ქართველ ჯარისკაცთა მთელი კორპუსი. კაპ. ე. მაჩაბლის მოხსენებანი სამხედრო სამინისტრომ სამართლიანად სცნო. ამბობენ, ქართული კორპუსის შედგენა იმ საფუძველზე არ მოხდება, როგორც მოხთა უკრაინაში. ქართულ კორპუსს უფრო სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება, ვიდრე პოლიტიკური.

—

მოკლე ხანში რუსეთის რესპუბლიკის საბჭოს ჯარისკაცთა სექციას თათბირი ექნება იმის შესახებ, თუ როგორი უფლება და აქტიური ძალა უნდა ჰქონდეს ლაშქრის ნაწილებში შედგენილ კომიტეტებს.

—

რიგის ყურეში დიდი საზღვაო ბრძოლაა, კონტრ-ნაღმოსნები გააფთრებულ იერიშებს განაგრძობენ. გერმანეთის ბალტიის ფლოტილიამ ამას წინათ რიგის ყურეში გადმოსხმული დესანტი ზღვიდან უზრუნველჰყო და კრეისერი დაუყენა დამხმარეთ. რუსეთის ფლოტს დაეღუპა სამხედრო გემი „ხრაბრი“.

—

სრულიად რუსეთის რედაქტორთა თათბირზე ერთხმად აღნიშნეს, რომ პრესა რევოლუციურ თავისუფლების განმტკიცების დროში კვლავ იდევნება, რის გამოც ყოველ დღიურ გამოცემათა რედაქტორები პროტესტს აცხადებენ და რეზოლუცია გამოაქვთ, რომ ისინი თავის პირდაპირ მოვალეობათ სთვლიან ბეჭვდითი სიტყვის თავისუფლება დაიცვან.

—

რკინის-გზათა ყრილობა მოწვეულ იქნება პეტროგრადში ღვინობისთვის 25.

—

სამარის რკინის-გზის ხაზზე გაფიცვა გრძელდება.

—

მთავრობა მოკლე ხანში საგანგებო მოწოდებით მიმართავს რუსეთის მცხოვრებლებს, ჯარს და ფლოტს რომ გარეშე მტერის მოსაგერებლად ყველა შეერთდეს.

—

პეტროგრადის სასურსათო საქმის გამგეს თბილისის მოქალაქეს ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვს შემდეგი განუცხადებია პრესის წარმომადგენელთათვის: სასურსათო მდგომარეობა უარესდება. პეტროგრადის სასურსათო ბიუჯეტი 45 მილიონს მანეთს უდრის. კუდების მოსასპობად უნდა დაგვეხმარონ ბინის პატრონებმა, რომელთაც უნდა ხელი შეუწყონ სურსათის განაწილებას. ამასთანავე გამრავლებული იქნება სასურსათო დუქნები. განზრახულია მოვახდინოთ რძის სინდი-

კატი, ამიტომ პროდუქტების ყიდვის ნება გადაეცემა მხოლოდ რამოდენიმე პირებს. საიდანაც ყველას უფლება ექნება განსაზღრული რაოდენობის ყიდვისა.

მთელს რანენბურგის მაზრაში (რიაზანის გუბერნია) უწესოებაა. იწვის არა მარტო საბატონო ადგილები, არამედ გლეხების სოფლები. ხარკოვში ამ უკანასკნელ დღეებში რამდენიმე მაღაზია გაანადგურეს.

---

ნება დართულია კავკასიაში შეადგინონ ქართველ ჯარისკაცთა მთელი კორპუსი. კაპ. ე. მაჩაბლის მოხსენებანი სამხედრო სამინისტრომ სამართლიანად სცნო ამბობენ, ქართულ კორპუსის შედგენა იმ საფუძველზე არ მოხდება, როგორიც მოხთა უკრაინაში. ქართულ კორპუსს უფრო სტრატეგიული მნიშვნელობ ექმნება, ვიდრე პოლიტიკური.

## სკოლის ნაციონალიზაცია.

ქართველმა მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატთან არსებობს ქართული ეროვნული საპედაგოგიო საბჭო, რომლის კომპეტენციას შეადგენს ქართული ენის და მოსამზადებელ კლასების მასწავლებლების არჩევა. ქართველი კომისარის განკარგულების თანახმად სკოლის დირექტორები ვალდებული არიან ქართული ენის მასწავლებელის თანამდებობაზე შეტანილი თხოვნები წარმოუდგინონ ზემო აღნიშნულ საპედაგოგიო საბჭოს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ზოგიერთი დირექტორები ამ დადგენილებას არ ემორჩილებიან, საბჭოს უფლებებს თითონ ითვისებენ და ქართული ენის მასწავლებლებს თითონვე ნიშნავენ, რაც ყოვლად შეუწყნარებელია, რადგანაც სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს, რომელნიც მომეტებულ ნაწილად რუს მასწავლებლებისაგან შესდგება, არ შეუძლიანთ რიგიანი და საქმის მცოდნე მასწავლებლების არჩევა, განსაკუთრებით დღეს, როცა სკოლის ეროვნული საფუძველი უნდა ჩაეყაროს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სასწავლებლების პედაგოგიური საბჭოები ძლიერ ამწვავებენ საკითხს: წმ. ნინოს სასწავლებელს უკვე მოუწვევია მასწავლებელი, ვაჟთა მეორე გიმნაზიაც აპირობს თავის ნებით მოწვევას და სხ. ასე მიწვეულმა მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი გვდაყენებული იქნებიან ქართულ ეროვნულ საპედაგოგიო საბჭოსა და ქართველ საზოგადოების წინაშე, ვინაიდან ისინი არღვევენ წესრიგს და დისციპლინას, რომელიც შემუშავებულია ქართველ საოლქო კომისარის და ეროვნულ საპედაგოგიო საბჭოს მიერ.

## ჯარის კაცთა დათხოვნის წესი

ამა წლის ღვინობისთვის პირველიდან ნებას ვრთავ ფრონტზე მყოფ გენერლების, ოფიცრების, მოხელეების, მღვდლების და ჯარის კაცების მოკლევადიან დათხოვნაზე. დათხოვნა უნდა ხდებოდეს შემდეგ ვადით: 1) ევროპის ბრძოლის ველზე და რუმინეთის ტერიტორიაზე მყოფნი დაითხოვებიან: ა) 7 კვირით და ევროპიულ რუსეთის საზღვრებში 5 ით. ბ) კავკასიაში შვიდი კვირით, ციმბირში და თურქესტანში რვაკვირამდე; 2) კავკასიის ფრონტზე მყოფი პირნი: ა) კავკასიაში—5 კვირით. ბ) ევროპიულ რუსეთში— 7 კვირით, ციმბირში და თურქესტანში 8 კვირამდე. ჯარისკაცთა გარდა დაითხოვნებიან აგრეთვე სხვა და სხვა სამხედრო მოსამსახურენი. მათი დათხოვნა ევალება მათ უფროსებს. მათ უფროსმავე უნდა გამოარკვიოს თუ რამდენ რამდენის დათხოვნა იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება ჯარისკაცებს, ვინაიდან ეხლა ხნიერ ჯარისკაცებსაც ვითხოვთ და რკინის გზაზე მოგზაურობა მეტად გაძნელებულია--პირველად ას კაცზე ოთხი უნდა ითხოვებოდეს. თუ შემდეგი შესაძლებელი გახდა, ოთხზე მეტის დათხოვნა —გამოცხადებული იქნება საგანგებო განკარგულებით. კვლავ ვიმეორებ, რომ დასათხოვნი ბილეთები და აგრეთვე სხვა საგზაო დოკუმენტები, ყოველ შემთხვევაში, ცალკე ნაწილების უფროსთა ხელმოწერით უნდა ურიგდებოდეთ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის ბრძანება.

ეკკენისთვის 27 № 934.

ხელს აწერს უმაღლესი მთავარსარდალი ა. კერენსკი.

---

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

2 ოქტომბერს ქ. ქუთაისში ჯარის კაცებმა მაღაზიები დაარბიეს. დაამსხვრიეს რაც ხელში მოჰყვათ, გაიტაცეს ყველაფერი. ადგილობრივი ჯარი წესიერების დასაცავათ არ გამოვიდა. ჯარი მოითხოვეს თბილისიდან და ბათომიდან. ჯარის ჩამოსვლის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქნა: ამ ჟამათ საშიში არაფერია.

**ევ. გეგეჭკორი.** ქუთაისში მომხდარი ამბების გამო თბილისიდან ჩამოვიდა ამიერ კავკასიის სარევოლუციო საბჭოს თავმჯდომარე ევგ. გეგეჭკორი.

**მილიცის უფროსი ქღენტი.** 2 ოქტომბერს რბევა-ცარცვის დროს გულში ქვა მოარტყეს და მძიმედ დასჭრეს მილიცის უფროსი ქღენტი.

**სავალდებულო დადგენილება.** ქუთაისის გუბერნიის კომისარმა გრ. გიორგაძემ და მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ, შემდეგი სავალდებულო დადგენილება გამოსცეს.

1) ქალაქ ქუთაისში და მის ახლომახლო მიდამოებში გამოცხადებულია ახალ განკარგულებამდე სამხედრო წესები. 2) აკრძალულია ყოველგვარი კრებები და ქუჩებში თავის მოყრა. 3) აკრძალულია მიტინგები ნება დაურთველათ. 4) აკრძალულია ქუჩებში გამოსვლა შვიდი საათის შემდეგ. 5) აკრძალულია ქუჩებში გამოსვლა კერძო შეიარაღებული ხალხის. 6) მძარცველები და ნაქურდალ-ნაცარცვის მყვიდველები გადაეცემა სამხედრო სასამართლოს. 7) სასტიკათ აკრძალულია ღვინის და მაგარი სასმელების გაყიდვა. 8) წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ მიღებული იქნება სასტიკი ზომები და თუ საჭირო იქნა ხმარებულ იქნება იარაღიც. 9) შედგა დროებითი გამკარგულებელი კომიტეტი, რომლის განკარგულებას უნდა დაემორჩილოს ყველა.

მოუწოდებთ ყველა შეგნებულ მოქალაქეთ დახმარება გაუწიონ და ხელი შეუწყონ მთავრობის ყოველგვარ კანონიერ განკარგულებას წესრიგის დასამყარებლათ.

**✦ ადმინისტრატიული ძალა-უფლება.** სამხედრო წესების გამოცემის გამო ყოველგვარი ადმინისტრატიული ძალა-უფლება გადავიდა გუბერნიის კომისრის გრ. გიორგაძის ხელში.

**✦ გარნიზონის ახალი უფროსი.** ქუთაისში მომხდარ ამბების გამო ქუთაისის გარნიზონის უფროსად დროებით დაინიშნა პოლკოვნიკი მროზინსკი, რომელიც ჩამოყვა თბილისიდან იუნკერთა რაზმს. ქუთაისში დაბინავებული მთელი ჯარი მის განკარგულებაში იმყოფება.

**✦ გამკარგულებელი კომიტეტი.** 3 ღვინობისთვეს ქუთაისის ამბების გამო შესდგა ეგრედწოდებული გამკარგულებელი კომიტეტი, რომელშიდაც შედის გუბერნიის კომისარი გრ. გიორგაძე, გარნიზონის ახალი უფროსი პოლკოვნიკი მროზინსკი და წარმომადგენლები მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებიდან. ეს კომიტეტი თვალ-ყურს ადევნებს ქალაქში მომხდარ ამბებს და განკარგულებას სცემს.

**✦ გაზეთები.** 3 და 4 ოქტომბერს ქუთაისში ადგილობრივი გაზეთები არ გამოსულა.

**✦ სასწავლებლებში.** ადგილობრივ ყველა სასწავლებლებში განსაკუთრებულ განკარგულებამდე სწავლა შეწყვეტილია.

— **ქალაქის საბჭოში.** გუშინ, 4 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღონ ქუთაისში მომხდარი ამბების გამო.

**✦ მოხსენება ტრიფონ ჯაფარიძისა.** მოხსენება ტრიფონ ჯაფარიძისა, რომელიც უნდა წაეკითხა ხვალ, 6 ოქტომბერს (§თანამედროვე) მომენტი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია") შემდეგისათვის გადაიდო.

**✦ მიტროპოლიტის ჩამოსვლა.** დღეს 5 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქუთაისში ჩამოვა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. სადგურზე მას შეხვდებიან სამღვდელოება და საზოგადოების წარმომადგენელნი. სადგურიდან მიტროპოლიტი მობრძანდება საკრებულო ტაძარში და მცირე პარაკლისის შემდეგ წაბრძანდება თავის ბინაზე, არქიელის გორაზე.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

— **გენერალ ოდიშელიძე,** მთავარსარდალი მესამე არმიისა დასავლეთის ფრონტზე, კავკასიის ფრონტზე გადმოჰყავთ სარდლათ.

— ჩრდილო კავკასიის მთავრობა. ენკენისთვის 18-ს კავკავში შესდგა საოლქო კონვენტი. კონვენტში შედიან დროებით მთავრობის კომისარი პოლკოვნიკი მიხაილოვი, სამხედრო ატამანი მ. კარაულოვი, ქალაქის ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე ტაპაჩმოევი, საოლქო საბჭოთა ყრილობის თავმჯდომარე სკრინიკოვი, ოლქის ჯარის უფროსი გენერალ-მაიორი წულუკიძე და დონის ჯარის უფროსი.

— საქართველოს კათოლიკოზის დამტკიცება. როგორც დეპეშით იტყობინება მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეთა დეპარტამენტი, ენკენისთვის 26-ს დროებით მთავრობას დიუმტკიცებია სრულიად საქართველოს კათოლიკოზი კირიონი.

— თბილისის პოლიტეხნიკუმში ლექციების კითხვა დაიწყება ღვინობისთვის 9-დან. ინსტიტუტში მრავალი თხოვნებია პეტროგრადისა, მოსკოვისა და სხ. მოსწავლეებისაგან, მაგრამ ბინის სიძვირის გამო ყველას უარს ეუბნებიან. ამის გამო სტუდენთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა სთხოვოს ქალაქის თვითმართველობას, რომ რეკვიზიციის საშუალებით დაიჭიროს რომელიმე პროგიმნაზია ან კლუბი ინსტიტუტის საჭიროებისათვის. თბილისს ჩამოვიდა ინსტიტუტის პროფესორი ლ. ი. მანდელშტამი.

-- **მარკების გამოშვება ფულად.** დროებითმა მთავრობამ დაადგინა, ფინანსების მინისტრს შენახულ მარკების გამოშვება დაავალოს. გამოვა 1, 2 და 3 კაპეიკიანი მარკები.

— **დამატებითი ჯამაგირი.** ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა დელეგატების კრებამ გადასწყვიტა, რომ თითო მოსამსახურეს თვიურად მიემატოს 200 მანეთი, რაიც 4 მილიონ მანეთამდე ახალ ხარჯს თხოულობს, რადგან სულ 1500 მოსამსახურე.

— **ქართული პროგრამები გიმნაზიაში.** საპედაგოგიო საბჭოს საპროგრამო კომისიამ ღვინობისთვის პირველს შეიმუშავა პროგრამები პირველი ორი მოსამზადებელი კლასის პროგრამები. ხუთშაბათს, ოქტომბრის 5-ს, დანიშნულია საპედაგოგიო საბჭოს სხდომა პროგრამების განსახილველად.

## დარბევის შესახებ.

(უკანასკნელი ცნობები)

ქალაქის დარბევის დღეს ქუთაისში სანოვაგე სრულიად არ შემოუტანიათ.

დატაცებული საქონელი სხვათაშორის გაუზიდნიათ სოფ. სიმონეთში, გოდოგანში და გეგუთში.

დარბევაში მონაწილეობა მიუღია ბევრს ჯარის კაცის ტანისამოსში გადაცმულ პირს. ზოგი მოწაფეც ყოფილა.

ზოგადი ანგარიშით ზარალი ჯერჯერობით ორმილიონ ნახევარს უდრის.

უკვე შეუდგენ დატაცებულ საქონლის დაჭერას. გაჩხრიკეს რამდენიმე უბანი და ბევრი საქონელი დააკავეს. სხვათაშორის ლეჩხუმის მაზრისკენ მიჰქონდათ ნაძარცვი

### ზომების მიღება.

სასწრაფოთ შესდგა ქალაქის თავდაცვის კომიტეტი, რომელშიც შევიდა 9 კაცი: ოროლი წარმომადგენელი პოლიტიკურ პარტიებისა და აგრეთვე ორი წარმომადგენელი ვაჭართა მხრით. ეს კომიტეტი შეიმუშავებს ქალაქის მუდმივ თავდაცვის წესს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მხრით კომისიაში შედიან ვასილ წერეთელი და გრ. ბარათაშვილი.

### ქალაქს საფრთხე არ მოელის

თბილისიდან მოსულმა იუნკერთა მეთაურმა საჯაროთ განაცხადა; რომ ქალაქს არავითარი საფრთხე არ მოელის და ყოველი ექსცესი, თუ კი ასეთი მოხდა დაუყოვნებლივ შეჩერებული იქნებათ.

## ქუთაისის დარბევა.

2 ოკტომბერი სამარცხვინო დღე არის ქუთაისისათვის. რევოლუციის დაწყებიდან მშვიდობიანი მცხოვრები პირველად ხედავს ქუთაისში ასეთ საშინელ სურათსა საშინელ სურათს —რაც არ სჩვეოდა ქუთაისს და კერძოთ მთელ საქართველოს.

ჩვენი ქვეყანა არ არის რბევა-ცარცვის მხარე, მაგრამ 2 ოკტომბერს აქ დატრიალებულმა ამბებმა შესწყვიტა მთელი ქალაქის მაჯის-ცემა და ქუთაისი შეაძრწუნა.

საზარელმა რბევამ გაანადგურა ქუთაისის საუკეთესო სავაჭრო ნაწილები, ქართველების ავლა-დიდება.

უმთავრეს მონაწილეობას და ხელმძღვანელობას ამ რბევა-ცარცვას უწევდენ ქ. ცარიცინიდან გადმოყვანილი ცნობილი ,,დამრბევი'' ჯარის-კაცები და სამარცხვინოდ ჩვენდა ქართველი ჯარის-კაცების ნაწილი და აგრეთვე მცხოვრებნიც.

დამრბევნი სადღაც შუადღისას დაესიენ რკინის-გზის სადგურზე საქონლის საწყობს. დაიტაცეს სხვადასხვა საქონელი და შემდეგ ბაზრისაკენ გაეშურენ. გზაზე ამსხვრევდენ მშვიდობიან მცხოვრებთა სახლების მინებს.

ნახევარი საათის შემდეგ ისინი გაჩნდენ შუა ბაზარში და მაღაზიებს მსხვრევა დაუწყეს. გამოჰქონდათ ფართლეულობა, ოქრო-ვერცხლეულობა, ფეხსაცმელები, ქუდები, თეთრეულობა, საჭმელები, სასმელები, ნამცხვრები, ქაღალდები და ბავშვების სათამაშოებიც კი, და ქუჩებში ფანტავდენ, ფეხ-ქვეშ სთელავდენ, ამსხვრევდენ, ქარ-ნიავს ატნევდენ, მუქთად ჰყიდდენ და აუარებელ სიმდიდრეს შეუგნებლად არარად აქცევდენ.

გამხეცებულთ წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა და ,,დამრბევნი'' კი ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ, როგორც გააფთრებული ალი გაძლიერებული ცეცხლისა.

მცხოვრებნი შიშის-ზარმა შეიპყრო დამურებივით მიიმალენ, სხვანაირათ ვერც კი დაახწევდენ თავს.

მძარცველებს ჯარის კაცები ყოველი მხრიდან ემატებოდენ. შეიქნა საშინელება-

ძარცვა-გლეჯის ადგილას მოვიდა გუბერნიის კომისარი გიორგაძე და მილიციის უფროსი ქღენტი, მაგრამ ვერას გახდენ. მილიციის უფროსს გულში ქვა მოარტყეს მძიმეთ დასჭრეს.

მილიციამ და წესიერების დასაცველათ გამოყვანილმა ჯარის კაცებმა თოფი გაისროლეს, მათ მუშებიც დაეხმარენ. მძარცველები გაიფანტნენ. შეიქნა აურ-ზაური, ძრწოლა, შიში, და მცხოვრებთა ცრემლების ფრქვევა. სროლის დროს კაცის მსხვერპლი არ ყოფილა. მაგრამ სროლა შეწყდა და დამრბეველები ხელმეორეთ უფრო ძლიერი ძალით მოედვენ ბაზარს. ამსხვრევენ მაღაზიებს ყველაფრით, რაც კი ხელში მოჰყვათ: ქვებით, ნაჯახებით და კეტებით.

მილიცია მიიმალა

დამრბეველები ამით გამხნევდენ და თავის მოქმედება უფრო გააძლიერეს. საღამოს 6 საათზე, ცენტრიდან ორპირის ქუჩაზე გადავიდნენ. დაუწყეს მსხვრევა წვრილ სავაჭროებს. თეთრ ხიდთან სავაჭროში ფიცრებიც კი არ დაუტოებიათ და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს. დაიწვა შემდეგი მაღაზიები! აბზიანიძის ხილეულების ქარხანა, თევდორაძის საბაკალ. სავაჭრო, აბაშიძის სავაჭრო, ალიხანოვის სავაჭრო, ზვიადაძის ფეხსაცმელების სახელოსნო და მკერვალიძის ფეხსაცმელების სახელოსნო. მარტო ამ ერთ ადგილას ზარალია არა ნაკლები 150,000 მანეთისა.

ღამით ქუთაისი საშინელ სურათს წარმოადგენდა. ყოველ სავაჭროში უსირცხვილოთ შედიოდა ბრბო და იტაცებდა რაც ხელში მოჰყვებოდა.

2 ღვინობისთვეს მთავრობამ თბილისის და ბათომის გარნიზონებიდან ჯარი გამოითხოვა. პირდაპირი მავთულით აცნობეს აგრეთვე ევგ. გეგეჭკორს და სთხოვეს, რომ ჩამოსულიყო.

3 ოქტომბერს ქუთაისის ქუჩები საზარელ სანახაობას წარმოადგენდა. ქუჩები შუშების ნამსხვრევებითა და ქაღალდებით იყო მოფენილი. დამსხვრეულ მაღაზიებში აღარაფერი სჩანს გარდა შიშველი კედლებისა. დილიდანვე ხალხი ქუჩებში გამოვიდა და დაღვრემილი შესცქეროს ბოროტი ხელებისაგან განადგურებულ სიმდიდრეს.

3 ოქტომბერს დილით ადრე თბილისიდან ჩამოვიდა ევგ. გეგეჭკორი. ი. მაჰავარიანი და სხვ. საზოგადოება მათ აღფრთოვანებით შეეგება.

8 საათზე ბათომიდან მოაღწია შეიარაღებულმა ჯარმაც. საზოგადოებას უფრო მიეცა იმედი. პოგრომის მომხდენთ უკმაყოფილება ეტყობათ.

ბათომიდან ჩამოსული ჯარი სალდათთა საბჭოსაკენ გაეშურა. აქ სიტყვა წარმოსთქვა ევგ. გეგეჭკორმა. ჯარს მოაგონა, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება თანამედროვე რევოლუცია და მოუწოდა მას ენერგიულათ დაეცვათ წესიერება.

შუა დღისას თბილისიდან[illegible] მოაღწია თბილისის პირველი და მეორე შკოლის იუნკრების შეიარაღებულმა რაზმმა, რომელმაც თან ტყვიის მფრქვევლებიც ჩამოიტანა. [illegible] მოვიდა აგრეთვე ყაზახთა რაზმიც.

სალდათთა საბჭომ იქონია სხდომა და [illegible] ჩამოსული ჯარი [illegible] გადაწყვიტა, რომ წესიერება უფრო ყოფილიყო დაცული. 12 საათიდან მცხოვრებთ ბაზარში სიარული აუკრძალეს.

ბათომიდან ჩამოსული ჯარი იქნა გაგზავნილი.

პოგრომის მომწყობნი ნაშუადღევს თითქმის აღარც კი სჩანან, მიიმალენ. ღამით საშიში აღარაფერია.

4 ოქტომბერს მშვიდობიანათ გათენდა.. ღამით არაფერი მომხდარა, მაგრამ შიში მაინც არის საზოგადოებაში.

## მცხეთობა და კათალიკოზის კურთხევა

პირველი ოქტომბერი ამიერიდან შეურყეველი სვეტია ქართველ ეკლესიისა და ერის თავისუფალ ცხოვრებისათვის.

12 მარტს ჩაეყარა მას საძირკველი და გუშინ-წინ კი მძლედ განმტკიცდა ხალხის გახსნილ გულში.

სვეტიცხოვლის მაღალმა კედლებმა პირველად საუკუნე მწუხარების შემდეგ გაანათეს წმიდა სიხარულით ამაღლებული ერის ზეიმი და ამაყად მორთვეს თავი, რომ თავისი ნათელი სიწმიდით ეკურთხათ ნატანჯი ეკლესიის თავისუფლება და განაწამებ ერის სიხარული.

ხალხის გაშლილი აღფრთოვანება, რომელმაც პირველად გამართა ერათავის ამაყ ბედნიერებისათვის, საუკუნოდ სამახსოვროდ ხდიდა თავისუფლების გვირგვინობის დღესასწაულს. საქართველო ყოველის კუთხისა ერთის ფიქრით მოცული და ერთის აპარტავნებით თავ აწეული მთლიანი აღტაცებით ელოდა, რომ ეხილა თავისი ნებით ამორჩეული თავისი ეკლესიის უნეტარესი პატრიარქი-კათალიკოსი.

და ეს წამი მათის შეხვედრისა ძნელად თუ დაავიწყდება ვისმეს.

სადგურის ბაქანი დროშებით და ყვავილებით მორთული აუარებელი ხალხით გაჭედილი, სულგანაბული, კათალიკოსის მატარებლის მოსვლისას თითქოს ერთ ცქერად იქცა.

ბაქანის გვერდზედ სალამისათვის ჩამწკრივებულა ჩაჩქანში ჩასმული და ფარხმალ მომარჯვებული მთიულთა მხედრობა.

თავის ამაყ მთებიდან ჩამოსულან ფშავთა და ხევსურთა არწივნი, რომ თავი დახარონ კათალიკოსის წინაშე და ხელი ძმობისა მისცენ თავის ბარელ ძმებს.

ბაქანის შუა გულში რკალი შეუკრავთ მაღალ ქულაჯიან ჭაბუკებს და თეთრებში მორთულ ასულთ, საქართველოს ახალგაზდობას ეროვნულ დემოკრატიულ სტუდენტებს. ცისფერს დროშას ორი სურათი ამშვენებს: ნინო და რუსთაველი —უწმინდესობა საქართველოს ეკლესიისა და დიდება ქართული კულტურისა.

პატრიარქ-კათალიკოსის ვაგონი მის დასასვენებლად განმზადებულ ოთახთან ჩერდება და მისი უწმიდესობა მიტროპოლიტისა და ამალის თანხლებით ნელა მიემართება ქულაჯებში მორთულ ჭაბუკთა გაკავებული გზით. პირველად ესალმებიან იმერეთის სამღვდელოების სახელით და კავკასიის ჯარის წარმომადგენელი ღენლალი.

პატრიარქის ავტომობილი გარშემორტყმული აუარებელი ხალხით ნელა იძვრის სვეტიცხოვლისკენ. ხიდთან მწვანე ფოთლების დიდი თაღია გაკეთებული და აქამდე დუშელი ცხენოსანი წმიდა გიორგის დროშით პროცესიის შესახვედრად დაწინაურებულა. ბაზალეთის ტბაზედ გამოვიარეთ—ამბობს მათი წარმომადგენელი—და ილიას ბავშვმა ტბის ძირიდან ამომჩხავლა, რომ ამოიყვანოთ და იხსნათ იგიო.

პროცესია ისევ ნელა თავის გზით მიდის. ხალხით გარშემორტყმული მანქანა ძლივს იკვლევს გზას.

ტაძრის უზარმაზარი გალავანი ხალხით არის გატენილი. თვით ტაძარში შესვლა ბილეთებით არის, მაგრამ მაინც სავსეა.

ხალხი მოუთმენლად ელის ზარების ხმას, რომელმაც უნდა ამცნოს მათის უწმინდესობის მოახლოვება.

წესრიგს მწყობრად იცავენ ქართველი ჯარისკაცები. მათი ცეცხლის ფერი ქუდები ელავენ ყოველ მხრიდან და ნათელ ზეიმს კიდევ უფრო აფერადებენ.

ჩამოჰკრეს ზარი — კათალიკოსმა გალავანს მიაღწია.

ზღაპრულია სვეტიცხოვლის გალავანი.

დღევანდელი დღე ბედნიერ ქორწილსა ჰგავს, დღევანდელი დღე ფეიების სიხარულია, მასში გაცოცხლდა ძვირფასობა ძველი საქართველოსი, აღმოსავლეთის სიხალისე და თუ ქართული გული მიეჩვია სიმწვეეში კვნესას, დღეს იგი სრულიად გათბა, და ცახცახობს დაუქრობელ ცეცხლის სიახლოვით.

წამით შეჩერდა აღელვებული ნადიმი. გაისმის მაღალი ბრძანება ჭაბუკი აფიცერისა, და ჰაერში აელვარდენ ხმლები ქართული მხედრობისა. ეს არის პირველი მაგალითი ამ რევოლუციაში, როდესაც ქართული ჯარი აჩვენებს ხალხს თავის ეროვნულ მოვალეობას.

ხალხში გაიარა საიდუმლო ჟრუანტელმა.

ბრძნული ნაბიჯით მიაბიჯებს უწმინდესი, უნეტარესი და ხალხის ერთი წყებიდან მეორე წყებაში გადადის ჩურჩულით მისი სახელი.

ყველაზე წინ მიდის გენერალი გაბაშვილი და მთავარსარდლის ხმით აძლევს წესრიგის განკარგულებას. ყოველი მისი სიტყვა წამსვე სრულდება. სვეტებათ გაშენებულ ხალხს ჯვარს სახავს კათალიკოსი და მიაღწევს ეკლესიის კარებს, რომელშიც მას ხვდება შემოსილი სამღვდელოება. გარედან ისმის ხმები ეროვნულ ჰიმნისა, რომელსაც ასრულებს ძვირფასათ მორთულ ჭაბუკთა გუნდი.

იწყება წირვა. ხალხით ავსებულ ეკლესიაში მოსჩანს მრავალი უცხოელი, მათ შორის ყურადღებას იპყრობენ ინგლისის, ბელგიის და საფრანგეთის კონსულები, რომელნიც მოსულან აქ თავის ამალით.

როდესაც კათალიკოსი შემოსეს ძველებურ ანაფორით და მიტრით, ეს იყო კიდევ ერთი ახალი წუთი, რომ აგრძნობინა ხალხს სანატრელი გაცოცხლება ძველი საქართველოსი.

პატრიარქის სახე იმ წუთში უსათუოდ დაუვიწყარია. ის იყო მთლად უძრავი და განათლებული. წარსული ტანჯვა სჩანდა მის ფერმკრთალობაში. მისი ხმა იყო ნელი და მთრთოლავი და საკმეველის წმინდა სურნელებაში მორწმუნე გული იგრძნობდა მისტიურათ განგების სიახლოვეს. დასრულდა კურთხევა და მთავარ დიაკვანმა სალარიძემ მკვეთრი და მრეკავი ხმით წარმოსთქვა სანატრელი „აქსიოს“, რომელიც გადავიდა ხალხში და სამჯერ იქმნა განმეორებული მთელი ტაძრის მიერ. ამ ის შემდეგ კათალიკოსმა აკურთხა თბილელი მიტროპოლიტი ანტონი და დეკ. კეკელიძეს უბოძა მიტრა.

—

ზღაპრული იყო სვეტიცხოვლის გალავანი.

როგორც ქართველის ისე უცხოელის ყურადღებას პირველად ყოვლისა იპყრობდენ ძველ რაინდულ ტანთსაცმელში მორთული ფშავნი, თუშნი, და ხევსურნი. ჯერ კიდევ გაუტეხელი და ხელუხლები სული ჩამოიტანეს მთებიდან მცხეთის დღესასწაულზე ჯვარზე და ხმალზე შეფიცულმა გოგოთურებმა. მათი წარმომადგენელი პირველი იყო, რომელიც სიტყვით მისალმების დროს გულჩვილად ატირდა თავისუფალ საქართველოს ხსენებაზე.

და თუ ჩვენი ეკლესიის განთავისუფლება წინამორბედია საქართველოს საზღვრების აღდგენისა, ჩვენ უნდა გვჯეროდეს რომ მთებში კიდევ არის გალესილი ხმალი ამ საზღვრების დასაცავად.

მთიელები დიდ მონაწილეობას იღებდენ დღესასწაულში. მათ გვაჩვენეს ბევრი ძველი თამაში და ყველაზე უფრო შესანიშნავი ხმალში გაწვევა (ფარიკობა) რომელმაც უსაზღვრო აღტაცებაში მოიყვანა უცხოელი სტუმრები. საფრანგეთის კონსულმა იქვე შეიძინა ერთი სრული საომარი შესამოსი ფშაველისა.

ფშავ ხევსურთა კარავის წინ დასვენებული იყო უძველესი ლაშქარის დროშა. მშვენიერი სანახავი იყო დუშელების და ანანურლების კარავი რომელშიდაც ბანაკობდა ორმოცდაათი ცხენოსანი. მათი კარავის წინ განუწყვეტელი ცეკვა და სიმღერა იყო.

სხვათა შორის გალავანში ყურადღებას იპყრობდა დიდი დროშა კარლ მარქსის სურათით, რომელზედაც ეწერა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“. ქვევით ქართული ასოებით ეწერა „სელეყია ძევი“. ეს დროშა რამოდენიმე ხნის შემდეგ სადღაც მიიმალა. ნამდვილი ჭაბუკური სიხალისე შეიტანა დღესასწაულში ეროვნულ დემოკრატების მოსწავლეთა წრემ, რომლის ეროვნულ ტანსაცმელებში საკუთარი დროშის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი. შუა გალავანში სასწრაფოთ გააშენეს მშვენივრათ მორთული კვარცხლბეკი. ეკლესიიდან გამობრძანების შემდეგ იქ ადგილი დაიკავა უწმინდესმა კათალიკოსმა მთელი კრებულით. აქ მან მოისმინა მრავალი მისალმება. პირველად მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ქუთათელმა მიტროპოლიტმა ანტონიმ. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ჯარის წარმომადგენელმა ახალგაზრდა კაპიტანმა ირაკლი ცაგურიამ. რომელმაც მთელი მხედრობის სახელით შეჰფიცა კათალიკოსს, და მასთან მთელ საქართველოს სამუდამო ერთგულება ქართული ჯარისა. საყურადღებო სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე აქვსენტი აბესაძემ, ტრ. ჯაფარიძემ, ირაკლი ამირეჯიბმა, ზალკანეთის ერთა სახელით გერუცმა და სხვა.

ნაშუადღევის სამ საათზე კათალიკოსი მთელის ამალით და აგრეთვე საგანგებოთ მოწვეული სტუმრები გაემგზავრენ სამთავროს მონასტერში სადაც მათ უწმინდესობას მიესალმენ სრულიად სომეხთა კათალიკოსის სახელით ეპისკოპოსი ხორენი და მხითარი და აგრეთვე დეპუტატი ხარლამოვი. სვეტიცხოვლის გალავანში დღესასწაულმა გასტანა შუაღამემდის. ერთ ჯგუფს რომელსაც შეადგენდენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, ვარლამ ჩერქეზიშვილის მეთაურობით, მიესალმა დეპუტატი ხარლამოვი რომელმაც აღნიშნა დიდი მნიშვნელობა საქართველოს რუსეთის რევოლუციაში. „რევოლიუციონური რუსეთი ვალდებულია მისცეს საქართველოს ფართე თავისუფლებაო“ — სთქვა მან. ხარლამოვს უპასუხა ვ. ჩერქეზიშვილმა, რომელმაც გამოსთქვა სრული იმედი რომ საქართველო რუსეთის დახმარებით შესძლებს თავის მრავალ წლებში ნატანჯ მიზნების მიღწევას.

კიდევ დიდხანს იყო სიტყვები, ცეკვა, სიმღერა. წირვის დასრულების შემდეგ შუაღამემდის ისმოდა „მრავალ ჟამიერთან ერთად განუწყვეტელი სროლა. ღამის თერთმეტ საათზე მცხეთიდან თბილისში გავიდა უკანასკნელი მატარებელი.

მცხეთოპის დღესასწაულს დაესწრო დაახლოვებით 110,000 ათასი კაცი. წესრიგი იყო შესანიშნავი.

მეორე დღეს კათალიკოს-პატრიარქმა ჭყონდიდის მიტროპოლიტათ აკურთხა არქიმანდრიტი ამბროსი.

მცხეთიდან დაბრუნებისას მის უწმიდესობას სალონ-ვაგონში მიესალმა უდინების წარმომადგენელი, რომელმაც უგზოობის გამო 1 ოქტომბერს ვერ მოასწრო ჩამოსვლა. მან აღნიშნა ის ფაქტი, რომ უდინები ყოველთვის ცდილობდნენ მჭიდროდ დაჰკავშირებოდნენ საქართველოს; კავკასიის ერთა შორის უდინები მხოლოდ ქართველობაში ხედავენ თვის დამცველებს. ამიტომაც იყო, რომ ავტოკეფალიის გამოცხადების უმალვე უდინებმა ერთხმად დაადგინეს შეერთებოდნენ საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიას. უდინთა წარმომადგენელმა გამოსთქვა იმედი, რომ საქართველო პოლიტიკურ თავისუფლების მოპოების ჟამს არ დაივიწყებს უდინებს და შემოიერთებს თვის ერთეულში. კათოლიკოზ პატრიარქმა გულწრფელი მადლობა გამოუცხადა მისალმებისათვის და აღნიშნა, რომ ქართველობა ყოველთვის სიყვარულით ეპყრობოდა უდინებს. მათ უწმიდესობამ სიამოვნებით მოიგონა, რომ უდინები დაუყოვნებლივ შემოუერთდნენ საქართველოს ეკლესიას და ბრძანა, რომ მის უპირველეს ზრუნვას შეადგენს უდინთა ეკლესიის წარმატება.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

## გენ. ალექსეევის განცხადება.

გაზ. „უტრო როს.“ თანამშრომელმა ყოფილმა მთავარმა სარდალმა გენ. ალექსეევმა უთხრა:

„თუ იაპონია ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებს, მაშინ ცხადია იგი (იაპონია) რუსეთს უმდიდრეს უსურიის მხარეს მოსთხოვს საკომპენსაციოთ. რუსეთის მდგომარეობა, როგორც უსუსტეს მხრისა უსაშინელესი იქნება. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მოკავშირენი, თუ იაპონია მათ დაეხმარებათ, გაიმარჯვებენ. მაგრამ ამით რუსეთს რა, მას სიმწარის მეტი არა მოელის რა.

## რესპუბლიკის საბჭო.

დრ. მმართველობასთან არსებული იურიდიული საბჭო შეუდგა რესპუბლიკის საბჭოს დაარსების და მოწყობის კითხვის განხილვას. წარმოდგენილია ორი პროექტი შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ავინოვის და დეპ. აჯემოვის. მიიღეს აჯემოვის პროექტი. მოკლე ხანში ყოველმხრივ განიხილავენ პროექტს და მთავრობის წარმომადგენლები თავის სიტყვას იტყვიან.

## როძიანკო.

როძიანკომ წინასწარ პარლამენტში შესვლის შესახებ დაბეჯითებითი უარი განაცხადა.

## ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენელნი.

ვაჭარ მრეწველთა საბჭომ წინასწარ პარლამენტში 18 დელეგატი გაჰგზავნა. მათ შორის არიან; კუტლერი, ივანოვი. ფელდმანი და დიტმარი.

## ანარქიის ალი

გაზ. „რუს. სლოვო“ სწერს: მთელ რუსეთს ანარქიის ალი მოედო. შიდა გუბერნიებში ყოველ გვარი წესრიგი დაემხო. სასურსათო კრიზისმა ცეცხლი წაუკიდა ყველაფერს. არავინ არ იცის, რა მოელის უბედურ რუსეთს. კატასტროფა მწარე სინამდვილეთ ხდება. ხვალ შეიძლება უფრო საშინელი დღე დაგვიდგეს მაგრამ ამაზე არვინ ფიქრობს და ან ვინ იფიქრებს, როდესაც ყოველი მოვლენა სტიქიურათ მიმდინარეობს.

## მოკავშირეთა კონფერენცია.

ამ ახლო მომავალში პარიზში მოხდება მოკავშირეთა კონფერენცია. რუსეთიდან კონფერენციაზე დასასწრებლათ მიდიან დემოკრატიის მხრით ირ. წერეთელი დრ. მმართველობის მხრით საგარეო საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო.

## სკობელევის კანდიდატურა.

მოკავშირეთა კონფერენციაზე დასასწრებლათ დემოკრატიის მხრით აგრეთვე ასახელებენ სკობელევს.

## რკინის გზის გაფიცვა.

პეტრეს ქალაქის მახლობელ ხაზზე გაფიცვა დასრულდა.-დრ. მმართველობამ რკინის გზის მოსამსახურეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება გადასწყვიტა.

## წინასწარ პარლამენტში.

წინასწარ პარლამენტში ადგილების განაწილება, შემადგენლობის შევსება ჯერ არ მომხდარა. როძიანკოს ცენზიან ელემენტების სახელით ლაპარაკის დროს მეუმცირესეთა სახელით ლაპარაკის დროს უთანხმოება მოუვიდა.

## გენ. ალექსეევი.

მოსკოვიდან ცენზიანი ელემენტები და ვაჭარ-მრეწველთა კლასი წინასწარ პარლამენტში სხვათაშორის ჰგზავნის გენ. ალექსეევს.

## მინისტრ ნიკიტინის გადაყენებას მოითხოვენ.

ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურეთა დიდი ნაწილი ფოსტის მინისტრის ნიკიტინის გადაყენებას მოითხოვს.

## კანდიდატების დასახელება.

ქ. პოლტავის გაერთიანებული ინტერნაციონალისტთა ფრაქცია დამფუძნებელი კრებისთვის ასახელებს მ. გორკის-პეტრეს ქალაქის მეუმრავლესენი ასახელებენ: 1. ლენინს. 2., ზინოვიევს 3. ტროცკის 4. კამენევს და 5. კოლონტაის.

## საზოგადო მოღვაწეთა ყრილობა.

მოსკოვში მოხდა საზოგადო მოღვაწეთა ყრილობა, რომელთაც დაადგინეს შეაკავშირონ სახელმწიფოებრივ იდეის ყველა მომხრე პირები და შეაერთონ ისინი სახალხო თავისუფლების პარტიასთან დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის. ამ აზრს საზოგადოების დიდი ნაწილი დადებითად შეხვდერია.

## უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა.

ამ მოკლე ხანში დრ. მართველობას უნდა გამოექვეყნებია დებულება უკრაინის გენერალი სეკრეტარიატის შესახებ. ზოგიერთი სენატორები წინააღმდეგნი არიან რომ დებულება გამოქვეყნდეს დამფუძნებელ კრებამდის, ისინი (სენატორები) ამტკიცებენ, რომ ამ ჟამათ ხსენებულ დებულების გამოქვეყნება დამფუძნებელი კრების უფლებათა შებღალვას ნიშნავსო.

## ზარალის ანაზღაურება.

იუსტიციის სამინისტრომ შეადგინა სია იმ პირთა, რომელნიც თებერვლის და მარტის პირველ დღეებში დაზარალდენ. სამინისტრო აუცილებლათ დაკმაყოფილებას აღუთქვამს უცხოელ ელჩებს და უცხოელ სამხედრო პირთ. რუსეთის ქვეშევრდომნი არ დაკმაყოფილდებიან.

## ამბოხება ხივის სახანოში.

გაზ. „რეჩ“ ატყობინებენ: ხივის სახანოში ოსმალ ოფიცრების მეთაურობით ხიველები რუსეთს აუჯანყდენ და თავს დამოუკიდებლათ აცხადებენო.

## სამოქალაქო ომი.

გაზ. „ნოვაია ჟიზნი“ სწერს: მეუმრავლესე დემოკრატიის და კადეტთა შორის ხმების დაყოფა ორ რასმეს მოასწავებს. 1. პროლეტარიატის დიქტატურა 2. სამოქალაქო ომს.

## რას ამბობენ თათრები?

ქ. ტობოლსკიდან იტყობინებიან: თათრების მაზრებში ხალხი იძახის: „მოგვეცით მეფე“ რადგან სხვები მიწის წართმევას გვიპირებენ, რომელი მიწაც საკუთრებათ გვქონდა მონიჭებულიო.

# მასწავლებელთა საყურადღებოთ.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობა ამით აუწყებს ამხანაგ მასწავლებლებს, რომ მან უკვე დაასრულა სახალხო სკოლებში სახმარებელთ შემდეგი სახელმძღვანელოების ბეჭდვა: 1). არითმეტიკული კრებული ან. შუბლაძისა და ლონ. ჩიმაკაძის I და II განყოფილებათათვის ნაწილი I ფასი 6 აბაზი; 2). არითმეტიკული. კრებული მათივე III და IV განყოფილებათათვის ნაწილი II, ფასი 1 მან. 2 შაური და 3). სამშობლოს აღწერა ს. რობაქიძისა ფასი 1 მან. 2 შაური.

ამ წიგნების უმთავრესი საწყობი მოთავსებულია ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში. საწყობს შესავალი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს, წერა-კითხ. საზოგ. სტამბის ცოტა ქვევით, რიონისკენ.

საწყობი ღიაა დილის 8 საათიდან (ძველი დროით) ნაშუადღევის 2 საათამდი და 4 საათიდან 6—მდი.

გამგეობა.

# მოწერილი ამბები.

## პირნახულის მოსავალი ლეჩხუმში.

ლეჩხუმის მცხოვრებნი წელს კარგი მოსავლის მოლოდინში იყვნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. გვალვამ სანახევროთ მოსპო სიმინდის მოსავალი. პურს ძველ წლებთან შედარებით ძლიერ ნაკლები გამოსავალი აქვს. სხვა პირნახული სათვალავში ჩასგდები არ არის, რადგანაც ბევრათ არ მისდევენ. ამრიგად მთელს ლეჩხუმში წლიური სარჩოს მაგიერ ნახევარი წლის სარჩო მოვიდა. დაკლებული კი უნდა ნასყიდით შეავსოს. უფულობას რომ თავი დავანებოთ, გასაყიდი სიმინდი სად არის? მაგრამ მცხოვრებლებს ასეთი უბედურების კიდევ არ ეშინიათ და ამბობენ, ამ გვალვისაგან მოყენებულ უბედურებას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ ეს სხვადასხვა გაჭირვება არ დაგვტეხოდა თავსო. საქონლის ჭირი ძალიან გავცელებულია ლეჩხუმში. საშველი არსაიდანაა. წლობით გლეხს [illegible] ხარი და ძროხა უცვდება; [illegible] უკანასკნელი იმედიც უნდა გამოეცალოს ხელიდან. მშველელი არავინ არის, [illegible] არსად სჩანს და თუ გამოჩნდებიან, უწამლოდ რის მაქნისი არიან. საქონლის ჭირთან ერთად გაჩნდა ღორის (თუმცა ჯერ ისე გავცელებული არ არის, როგორც საქ. ჭირის), ზოგიერთ სოფელში შინაური ფრინველების ჭირიც არის. ასეთ უბედურებას ემატება „ბატონები“ (სახადი) და მათ მიერ მოყენებული ზარალი. წელს ყველდგან ნაკლები მოსავალი არის, ყველდგან ჭირი და ყველდგან უბედურებაა, მაგრამ ლეჩხუმსავით არც ერთს პროვინციებს არ უჭირს. რაიმე სასწრაფო უნდა მოხდეს, რომ ლეჩხუმმა შიმშილობას წელს თავი დააღწიოს. დღესვე უნდა იქმნეს ზომები მიღებული შიმშილობის წინააღმდეგ, თორემ შემდეგ გვიან იქმნება.

გ. მალალეიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია

# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| „ | — დილის — | 10 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 „ |
| „ | — დღით — | 1 ს. 40 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |

ექიმები

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—9 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

ნიკოლოზ საბაევის ბაღში ბათუმის მახლობლათ ისყიდება საუკეთესო ხარისხის ერთ წლოვანი და სამნახევარ წლოვანი

მანდარინის ნერგები.

რომელიც ამა შემოდგომაზე დარგული უკანასკნელი მომავალი წლისთვის მისცემს ნაყოფს. აქვე ისყიდება ლიმონის და ფორთოხლის ნერგებიც. მისამართი: ბათუმში საბაევის მაღაზიაში.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო გაზეთ

„ხმა ქართველი ქალისა“-ზე

გაზეთი გამოდის ყოველ კვირაში ხუთშაბათობით კატო მიქელაძის რედაქტორობით. წლის დამლევამდე (პირველ იანვრამდე) გაზეთი ღირს 3 მ. თვეში 1 მ. ხელის მოწერა მიიღება: „ძმობის“ სტამბაში ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვისა. ანნა ლადუასთან ბალახვანის ქ. № 6. ჭიათურაში: ანნა წუწუნავასთან, ხონში: ლუბა პეტრეს ასული სანოძესთან, თბილისში: ეკატერინე გრიგოლის ასული მესხთან Красногорская № 31, ოზურგეთში: საფო მგელაძესთან, და მოსე თალაკვაძის წიგნის მაღაზიაში, ფოთში: ლუდმილა ქავთარაძესთან, ახალ სენაკში მასწავლებელ სოფიო არჩაიასთან, ძველ სენაკში ელენე ჩხეტიასთან, სამტრედიაში აგაშა სტურუასთან და ნოე კალანდაძესთან, კულაშში: მასწავლებელ ელისაბედ ლოლობერიძესთან.

მისამართი: ქ. ქუთაისი „ძმობის“ სტამბა, პუშკინის ქუჩა. კატო მიქელაძე.